

ლიტერატურული გაზეთი

№23 (135) 12 - 25 დეკემბერი 2014

გამოცემის ორ პილატი ერთხელ, პარასკევი

ფასი 50 ლარი

შერმაზანამ ქალი მოიყვანა. ახლა სახლში ჰყავდა და უცქერდა. ბანზე იყვნენ ორივე და ამას ხელში ჰქონდა ატამი და მოსთლიდა და მიაწვდიდა იმას. ისეთი ბებუთით სჭრიდა, ძროხას აატყავებდი, იარმუკელ ყასასს შეშურდებოდა.

განა რამე დაიშურა მისთვის? ეგ ქალა იამ, მაღარფაკები, ქიშმირის შალი ჩამოატანია ხოჯაპარუხოვის ქარვასლის სოვდაგარს. ჩითი, მიტკალი, დარაია, ბამბიზიონი, ამ სკივრებს სულ გაუვსებდა.

მითამ და შანის ცოლი იყო.

რა, არ იყო?

შაზე ნაკლები რითი იყო შერმაზანა?

გინდა ხელობითა, გინდა ბიჭობითა.

ასეთ დაბადს განა ნახავდი?



მერე კრივი?

ყასაბი გულუაშვილი გაელახა ბოლო კრივში და იმანაც არ დაკალო და მერე ჰეტრე-პავლობამდე თხის ქონით უზელდნენ ფერდებს, მარა მაინც აჯობა.

კრივსაც ჩამოშორდა მის გამო და როცა კვირაცხოვლობას დაუძახეს არსენალის ხევისაკენ, ეგ არ გაყოლია, ემანდ, სახე არ მიმინჯლიონო.

არადა, იმ ავლაბარ-ჩულურეთ-კუკიელებს იმდენი ვინმე მოეკრიბათ, უთუოდ გალაზავდნენ გამოლმელებს. ახლა კი ასე ბანზე იყო და მოსთლიდა ატამს და მისთავაზებდა თავის მურაზს, ვინაც ჰმალავდა თვალებს და მალი-მალ ლიმილს გამოაჩენდა. აბა, ამომიცან, ვინა ვარ? თლონდაც ეს ლიმილი დღეს არა სჩანდა.

რამე ტკივილი იყო?

რამე თავის ქარი?

იქნება სიქანჯაბუნი მოეტანა?

დარომ ამოიხრა.

ეს იყო და, თითქოს ამოყვა ამ ოხვრას, რაც რამ დარდი იყო აღამაპმადხანობას კლდის უბანში, თითქოს და გაეპოს იმას შერმაზანას გული.

— რა არის, ჩემო მურაზო?

მოურბილა აგმის მთლელმა.

— ახლა ერთ ბრონეულს შევსჭამდი, სეიდბადის ბრონეულს, — თქვა მურაზმა და იმისთანა თვალები ასწია, იმისთანა, შიგ გიშრის ტბა დეეტეოდა.

განა თქვა რამე შერმაზანამ? ადგა, მოკეცილი კალთები გაისწორა და ნელი-ნელ შუკაზე გავიდა.

//

რუსულან რუსაძე

გამარები

დედამიმის მერი

შვილი ვიყავი ამ დილით, ადრეულ შემოდგომაზე დაბადებული გვიანი შვილი. კაბინეტის კარი ფრთხილად შევალე, არ გავალვიძო-მეთქი, მაგრამ უკვე სავარძელში იჯდა პირით ფანჯრის კენ. არ მივსალმებივარ, ჩუმად გავპრუნდი სამზარეულოში, სანურავიდან ვაშლის წვენით გადავსებული ჭიქა გამოვდგი, პატარა კუბებად შემწვარი ყიყლით მის საყვარელ თეფშზე დავალაგე და გორგოლაჭიანი ლანგრით ისევ კაბინეტის კენ გავემართე. ამ ჯერად დედაჩემის მარგალიტის მძივი მივუდე თეფშს გვერდით, როგორც მეგ ზური დავიწყებულ წარსულში. გუშინ მედასთვის მისივე ნაჩუქარი თავშალი გადავუფინე სანოლის თავზე, ხელით ნაქარგი გეორგინებით, მაგრამ ერთხელაც არ გაუხედავს იქეთ.

— დილა მშვიდობისა, როგორ გეძინათ? — ყოველ დილით მგონია, შუბლზე მაკოცებს და მეტყვის, რა სულელი ხარ, სალი, როგორ შეიძლება, მამამ შვილი ვერ იცნოსო.

— არ მძინებია, — ალაგ-ალაგ გაწყალებული ლურჯი პირსახოცის ხალათს ძაფი მოაცალა და მზერა ამარიდა.

— საუზმე მოგართვით, — დახედა თუ არა ლანგარს, მარგალიტის მძივი ჭიდაველასავით ორი თითოთ აიღო და საწერ მაგიდაზე გადადო.

— მაღლობა. თქვენ ისაუზმეთ უკვე? — თანდათან უფრო მიჭირს ამოცნობა, მზრუნველობით მეკითხება ხოლმე თუ ცნობისმოყვარეობით.

— კი. ადრე ავდექი და ცოტა ვივარჯიშე, — პატარა ბავშვითი ვცდილობ, თავი მოვაწონო.

საუზმე დავუტოვე და სამზარეულოში გავტუნდი.

მანანა ჩიტიშვილი

რანაირი გაზაფხული მოვა

ქარი ახლა საალერსოდ მიწვევს, იამინდა, გადაიღო თოვამ... ნეტავ, ჩვენ რომ არ ვიქნებით, იმ წელს რანაირი გაზაფხული მოვა.

კვლავ ეს ფერი თუ ექნებათ ნისლებს, ამ ცის თაღებს, ცისფრად შემოგარსულთ, ან ტყემალი ემსგავსება ისევ ქორწილიდან გამოპარულ ასულს.

მთებსა ვძრავდით სასურველის პოვნად, ვგავდით უნინით მყვირალობის ირმებს, ან იმქვეყნად მიგვდევს ვინმეს სსოვნა ან ამქვეყნად ვეხსომებით ვინმეს?!

ქარი ისევ საალერსოდ მიწვევს, სულს მოსწყურდი... გადაიღო თოვამ, ნეტავ, ჩვენ რომ არ ვიქნებით, იმ წელს რანაირი გაზაფხული მოვა.

ერთხელ კიდევ

ტორს მცემს ოცნებათა რაში, ლამე კუპრისფერად ბზინავს, ნეტავ, ჩემი ყრმობის სახლში ერთხელ კიდევ დამაძინა.

ბევრს არ ვითხოვ, გამჩენს ვფიცავ, გული იცვამს დარდის ბექთარს, ერთხელ კიდევ გამალვიძა ქსნის ხეობის ტოროლებთან.

დილა ადრიბი

და რომ ჩიტიშვილი ინტერესი, ნუთისოფელმა ყველა ოცნება თავზე წკირივით გადამამტკრია.

ხრავს ბედაური მიუჩვევ ლაგამს, ბედმა სიავე არც როს მაკმარა... ო, რა ლამაზი იყავი, მაგრამ შენს სილამაზეს ვინ მიმაკარა.

თბილისი

მე ჩემსას ვიტყვი, სხვებმა თქვან სხვისა, რომ არა რაში რკინის მკვეტავი,

რომ გაჟქცეოდა

ხოხობი ისარს,

რა ერქმეოდა

თბილის ნეტავი?

ლამდება...

ბინდი ედება მაღლობს,

მიცურავს მტკვარზე

ვარსკვლავთა ტივი

და სიბნელეში

მეტებთან ახლოს

ბორგავს რაში და

ხოხობი ყივის.

სათიპში

არც აღზევანს აღარ მივალ,

არც მარილი მინდა ბროლი,

თავებეშ გავიშალე თივა,

კრძალვით ქალწულივით მთრთოლი.

ქარი ტრფიალებით ხელობს, ვნებით ამღელვარებს ყანებს, ვგერდით მოვიწვინე მდელო

შენი თვალებივით მწვანე.

მთვარ ალვის ჩრდილებს კეცავს, ცვივა ვარსკვლავების მტკვერი, მეტრდზე მაფენია ზეცა შენი გულისპირის ფერი.

არც აღზევანს აღარ მივალ, არ მსურს ბადახში და ბროლი,

თავებეშ გავიშალე თივა,

შენი თითებივით მთრთოლი.

ჩემი პრინცისი

ვერც ცოტნესავით

თაფლი წავისვი,

ქარი კითხულის

ფოთლების რაყამს...

ქანზეა ახლა

ჩემი კრწანისი,

მაგრამ სამასი

ერთგული სად მყავს?!

რის ბასიანი

ანდა ანისი,

არც სპა ჩანს

და არც მახვილი ბრწყინვავს,

შუა ქართლია

ახლა კრწანისი

და ერს

უნაღვლო სიზმრებით სძინავს.

V



დასაწყისი პირველ გვერდზე

აშპაშხანების თავზე იყო იმის ბანი, ზედ რომ ამოვარდნილი ბოზაში და ჩიუი-პიუი მარხვის გატეხვას გაცდუნებს და მოიპარება.

დღის სმაურა იყო ბლომად და აგე, დომი მოჰქონდა ვიღაცას, აქეთ გელაქ-ნური, თაბახიან კინტის ცეკვე, თულუშჩის წყალი და კიდეზე დასტაც იდგა და უბერავდნენ ბრძები თავის ჯიგარში.

შერმაზანა მეიდანში ჩავიდა და იქ რომ ბაყლებს გოდრები დაედგათ და ვირებიც ჩამოედგათ, იმათმი გასჩერდა ჯერ და ერთ ნაცნობთან მიერდა და იკითხა:

— ერთი ბრონეული მომიძებნე თათარიახნად.

— ეს, შერმაზან-ჯან, ადრეა, ადრე, ემაგ ტოტი ჯერ არ მოუტეხიათ, ემაგ ბრონეული ჯერ არ მოწითლებულა, კაკალი შიგ არ მომწიფებულა.

— არც ერთი გააქ?

— არა, ადრეა, ადრე, ეგ თუ იქნება და ფეთხაინობას გამოიარე.

ისე თქვა, რომ იმ დანარჩენი ბაყლების ხილეულსაც არაფერი სინითლისა არ დაჟყვებოდა.

— კი ინდიხურმას მოგცემ, უკეთესა ვერ ჩაპირიამ, — აგრძელებდა ემაგ ბაყალი და ამოერჩია კიდევაც შიგ მოლაგებულები, უკეთესები.

აბა, რა უნდა ელაპარაკო, განა თავის გემოებს დაეძებს?

შერმაზანამ ხელები ისევ ქამრის გობაკებზე დაილაგა და ფეხი ავლაბრის ხიდზე შესდგა და გაუყვა იქითქენ, აღმართისაკენ, ბაყალანისაკენ.

აქ რას არ ნახავდი.

ფერად-ფერადი ფსტა-ნუში, აღვანა-ბადი, ჭანჭური, ქალსბადი და ყინვარ-შაქარი. ბრონეული არ იყო.

— სულ არ არის?

— ჯერ ადრეა, ოქრო, ადრე, კაი ინდიხურმასა მოგცემ, აპა, ესეც ფეშქაშ.

შერმაზანმ ხელი აიქნია.

აქ თუ არ არის?

ეს მოელი ხილი და მისთანები ტფილი-სის დახლებზე შემოძიოდა ერთი რომ დილმიდან და გლდანიდან და მერე რომ შიგ ქალაქში სხვადასხვა ბაღებიდან.

შერმაზანა ვერის ბაღებში წავიდა. ჯერ კონკას აახტა და ასე იარა ვერამდე, მერე ფეხით ჩაუყა და ჯერას ჩასცდა და იმ ჩრდილებში შევიდა.

განა დვინის მოსამელად — ბრონეულის მოსაძებნად.

აქ იმერლებს ჰქონდათ ბაღები აღებული და იქ თუ არა, აბა, სად იქნებოდა?

იმერლე ცომსა სჭამდა. აბა, ამათ გემოსი რა იციან. რომ დაინახა, ფეხები გადმოალა და გამოეგება შერმაზანას.

ულვაში კი აეპინკა იმ იმერლესა.

შერმაზანამ დაილაგა ისევ ხელები:

— შენა, ბრონეული გააქ?

— ბრონეული საიდან მექნება, მეიცადე ბატარა ხანს და ბრონეული და ბია მერე, ღვთისმშობლის მერე გამერარე, ეხლა კიდო შენ ხარ ჩემი ბატონი, იმფერ ინდიხურმას მოგცემ, დაიფერთხა იმერელმა ცომის ნაცეცები.

რა ექნა, ხელუკულმა გაერტყა?

ნამოვიდა შერმაზანა. განა ასე იოლად გასტყდებოდა. განა ასეთი ბიჭი იყო. ახლა ფეხეტირი დაიფერთხა და გამოეგება კოლონიაში.

ორი კოლონიი იყო ტფილისში. ერთი კუკიაში და ის ახლა უფრო მომვერნიერებულიყო და ტფილის მიერთებოდა და მეორე იყო დიდებული — ალექსანდრესდორფი.

იქითქენ გასწია სწორედაც.

იმის გამნკრივებულ სახლებს შუა ჩამოხდა და გავლო თეალი იქაურობას. აბა, ერთი რომელი ამოარჩიოს, რომელი მოიხილოს.

გერმანელიც გამოჩნდა, ხელში დიდი მაკრატელი ეჭირა, ბალის მაკრატელი, ამით აქლემს მოაჭრიდი კუზს.

— სალამი, — სთქვა შერმაზანამ.

გერმანელმა თავი დაუკრა.

— კაი ბაღი გააქ.

— მადლობტ.

— ბრონეული გააქ?

გერმანელმა თეალები გადმოჰყარა.

— ან იორტუმ, ჩერ ადრეა, ეს ისტ ცუფრუ. იშ კანონ იოშ. აი, რაკი ასეტი გემოს კაცი ბრცანტებიტ, კაი ინდიქურმა, ზერ გუტ.

შერმაზანანა დააფურთხა მიწაზე და გაბრუნდა იქიდან.

დრო გასულა კაი ბლომად. არაფერი იყო ახალი.

აქედან ერთი გზა იყო და ისევ ბაღების გავლით მიხეილის ქუჩისაკენ. ფაეტონით მიდიოდა და მალაკანი თავისას ლილინებდა და დროდადრო.

შერმაზანამ მუშტაიდის ალაყაფის კართან გააჩერებია. ემაგ მუშტაიდის ბაღი თუ იქნებოდა ახლა ხსნა.

აქ იყო ჩაისა და ლუდის მოსმა, აქ იყო სერთუკებისა და გაბერილ ბუშტების სამყარო, მარაობისას გადასა და ფეხით გარჩევა.

აქ არც მამლების ჩხუბი იყო, არც ყორების, აქ იყო ტყებულ ბოროლებში ჩასმული სუნებისა და არომატების ალაგი, ოფლისა არ ყოფილა.

ვიღაცა ცუნდრუკამ ხელში ფადნოსით ჩაუქროლა იმას, შერმაზანმ ხელი მოავლო და შემოატრიალა თავისაკენ:

— ბრონეული გააქ?

— ბრონეულს ჯერ რა უნდა, ინდიხურმა მაინც გეთქვა? ლუდი გვააქ კაი, მადე-

აბო იაშალაშვილი

— ემაგ ბრონეული ნახე ნაზარბეგოვის დელიკატესებში, იქ იკითხე, სასახლის ქუჩაზე, — დაეწია მი ცუნდრუკას სიტყვები.

შერმაზანა გავიდა ბაღიდან თავისას ლილინებდა და დროდადრო.

ვითომ აქ იყო ხსნა? სასახლის ქუჩა ტფილისში მართლაც და საუკეთესოებს ადგილი იყო. რა არ ნახავდი, რა შლაპასა და ხელის ჯოს არ მოსებინიდა.

ოკ, ოკ, აქ რეები დაუხვდა, და კონფეტები და კრაფტის შოკოლადი და ბლოკერისა და უორუ ბორმალის კაკაო, აბრიკოს კონსერვები, ინგლისური პიკულები, გერგინგერის შპროტი, ბრი, როკფორი და ნაირგვარობები ბლომად და ლუი რედერერის ლვინოები და ტოკაისა და ლისაბონისა, ოლონდაც ბრონეული არც იყო.

— ხო, ხო, ჯერ არ ჩამომსვლია, საერთო-

— ბრონეულს და მადლობტათ, რომ თევის ბოლომდე

ბრონეული არსად არის, მაგრამ მე ზაკაზი

ბაკენბარდებიანი მობრუნდა და გაკვირვებული უცქერდა ამის გამბედავს.

— გიში ხა? — თქვა იმან, ვინაც ტფილის ჯიბებირთა და ყაჩალობა რისხვა იყო, თან სისხლი მოაწვა სახეზე.

იმის ამფლონებიც, ჰა და ეცემა.

— გინდა, ტატო ხელში ჩაიგდო?

— ტატო?

— ხო, ის ორთაჭალის ბაღებში ქეი-ფობში.

ტატო როთაჭალაშია? ტატო წულუკიძე, ვინაც ვერა და ვერ იგდო ხელთ პოლიციამ, მკვლელი ტატო, ვინაც ამ ბოლო ჯერზე ორას კაზაკით ალყა დარტუმული ვერის ბაღებიდან გამოეპარა მათ აფიცრად გადაცმული.

ნუთუ ის ხელში უცვრდებოდა?


ბაკენბარდებიანი კარგა მაგრა ათვალიერებდა შერმაზანას.

— შურს იძიებ?

— ეგ ჩემი საქმეა.

— მარვენებ?

სეიდაპალის ბრონეულები



რისა, ახალი ჩამოსხმულია სულ ბოლო ნამს, გოუსინჯავი, დოულევი, — ამბობდა ისა და ამ დროს კიდევ სხვა ხმა შეერია იქაურობას.

— ჰა, იცევე, იცევე, — ამბობდა შემთვრილი ჯეილი.

— ანშანტე, კოზაკ, იცევე, კოზაკ, იცევე, — ამბობდა და დამტვრეული ენითა ერთი ვიღაც აფოფრილ თმიანი და ვერმოზომილად დამტვრალი ჯელი.

და გაპედა და შერმაზანას ვერცხლის ფული გადაუგდო.

ფული იმის ფეხებთან დაეცა.

დარეჯან სუმბაძე

სადაც ინიციატივი

სახლი, რომელშიც მე ვცხოვრობ ახლა,
დგას ზღვის ნაპირას.
და ყველა სარკმლით ზღვას გადაჰყურებს
და ამის გამო ნიუარასავით შრიალებს მარად.

ოთარ ჭილაძე — „სინათლის წელიწადი“

- შენ გადაწყვიტე, რომ დინებას (აზრი არ ქონდა) თან გაყოლოდი (და მიუშვი). ცალ-ცალკე ბევრად იქნებ ადვილიც ყოფილიყო. გაცალკევებას დასჭირდებოდა ძალის ხმევა. ბზარის გაქრობა ასე ადვილი იქნებოდა. ეს კოსმეტიკა.

შეღება სახლის. ჩასწორება. უფრო კორექტულ ფრაზებს გავაღებს გაურითმო ვთქვათ და პოეტურ ნაძალადევად მოგონილებს. სიტყვებს. მეტისმეტ მცდელობას. რასაც ხელოვნური იერი ახლავს. ამით ვერაფერს იტყვი რამე ორიგინალურს.

უფრო გამოკვეთ, თვალში საცემს მორიგი ნაჯლის, რის დაფარვასაც ასე ცდილობ მუდამ და. ახლა სხვა არის ოდონდ. რა მოყვება ასეთ მცდელობას შედეგად. ანუ თუ ახერხებ. როგორ ახერხებ. სად რა ნიუანსს უსადაგებ. რა გზებს. რა ხერხებს. როგორ არიდებ თუ არიდებ. მიმბაძველობას ეს სისადავე სხვის მოგონილს არაფრით გავდეს ან რა ხელი აქვთ. საკუთარზე სხვებმა იზრუნონ. რომ ახლა მაინც თავისითავად. თითქოს მზის ბრუნვა იმეორებდეს ძველ კალაპოტს მორიგჯერ ამ დღეს.

როცა დალაგდნენ. და საგნებმა კუთვნილ ადგილებს ბოლოს და ბოლოს მისურებს. რასაც ექებდი. ეს დასაწყისი იყოს. იქნებ კიდეც შეძლებდნენ წესრიგს. რაც ბოლოს მათზე წერას გაგიადვილებს.

- ანუ: საგნებზე. ამას მუდამ სხვა მხარეც ქონდა
უფრო მთავარი. რომლის მიღმაც ხშირად გახედვა
საშიშად მოჩანს. გადაიკცეს სანახაობად
ფიქრადაც არ ლირს. რაკი მუდამ სხვა მხარე ქონდა
და თავს გახვევდა. იძულებად. გეფიქრა მასზე,
მოგვიანებით რაც დაეწყოს უნდა ზედიზედ.
მიზეზი შედეგს მიეკაჭოს. ლოდინი: ნასვლას.
და აგრძელებდეს ხელი ხელის გულს ან: ბედი ბედს.
ამ გაგრძელებას რომ ქონოდა მუდამ სხვა მხარე,
რის დაფარვასაც ალბათ მაინც ვერასდროს შეძლებ.
მორიგი ნაკლი ყოფილიყო. კედლებს საჩქაროდ
შეათეთობდი. უნარი აქვთ სულ ყოვლის შემძლე
მათ. ვინც ნამდვილი ცხოვრებიდან გადმოინაცვლეს.
და რომ სხვა მხარე დაფარული გაცხადდეს მხოლოდ
(ამ)შემთხვევაში მყარად ეგრძნოთ მით უფრო ადრე.
თავი. უსაფრთხოდ. ანდა გვიან. ბოლოს და ბოლოს.

- თუ სადაფს. ჰაერს. სადაც ჰაერს ეძებ და მუდამ არსებობს მისგან, რასაც ეძებ. სადაც მას ჰაერს სად აქვს სადაფი. გათენება. ფერი და თუნდაც სად აქვს. თუ ეძებ. რასაც მუდამ ქონდა სხვა მხარე. მას ამსხვრევს ქარი. არ მითხარი. ქარი ამსხვრევს. როცა მღელვარებს. როცა სუნთქავს. მას ქარი ამსხვრევს თუ ნაცვლად იქნება აპირებდა ცამდე აევსო, ვიდრე უკვალოდ წაეშალა ნაქარგი წამსვე. თითქოს დინებად. თითქოს ზღვაში ზეცა ჩაექცათ. ოღონდ ღრუბლიანჩაქცეული ზღვა იყო მღვრიე. რომ ამსხვრევს ქარი. რომ მითხარი მაშინ. და ერთნაში შესაძლებელი იყო კიდეც გამომერჩია. თუ ვეცდებოდით. იქნებ კიდეც. მაშინ და ერთ წამს. უფრო მარტივად დასასწისში, ვიდრე სიღრმისკენ გაუწევისარ გულს. დინებას. ბობოქარს. მლენას.

რაღაც ერთგვარად ერთფეროვანს. შენ არ გაქეს. მისდევ სხვა გზა. სხვა მხარეს. სხვა ნესრიგზე რამე მოგეთხრო. რამე დინებას მოყოლოდი. ზიხარ და მისმენ. სადღაც ერევა და იმსხვერევა ასეთ დროს ქარი. ქარი ასეთ დროს ერევა და იმსხვერევა ისევ.

- რომელი ქარი. იქნებ მაშინ რომელიც დაგხვდა.
ქალაქის უცხო განაპირა უცხო ქალაქში
ლია ცათა მბჯენს შეხიზნული. თითქოს გადაშლილ
წიგნს კითხულობდი ხელისგულზე. ნამდვილი ზრახვა
რომ ამოგეცნო ამქალაქის. როგორ აღმოჩნდი.
ვერ იქნებოდა საიდუმლო. ანდა მორიგი
თვალის დახუჭვა. არიდება. ენდე. მოირგვი.
მიუხედავად ჩანდა. რალაც მაინც გამოგრჩა.
ან იქნებ ქარი. კიდეც მაშინ დაგხვდა, რომელიც
ქალაქს აძლევდა განაპირა ან უცხო იქრს.
თავშეფარული ცათა მბჯენის მუქი და მღვრიე
გათენებებით. მომავალით. დაუდგომელით.
იქნებ იმ ქარით. კიდეც დაგხვდა რომელიც მაშინ.
როცა იყო და ამავე დროს ქრებოდა ნისლად.
გამოუცნობად. გაუგებრად. სამყოფად: ვის. რად.
თითქოს განწყობად ან ჩვენებად ოცნების წამში.
ანდა მერეც. ვერ იქნებოდა გადასარევი.
დარჩენილ სხვა გზას. სხვა არჩევანს დგომოდი მისკენ.
თუნდაც ამღვრეულს. შერეულს და. ამღვრეულს ისევ
იმ მიმდინარე ქარის მსგავსად. ღრუბელნარევის.

- ამ ზამთრის დღემდე. პირველქმნაო ბგერა და სუნთქვა. ლრუბელნარევი სინათლიდან მთაზე დავეშვით. გვეფინა ველი თვალწინ. როცა გჯერა და სულ მთლად გვივინებს ყველა კაშანი უკუნ ღამეში. ახერხებ სადმე უპოვნელად მიჩქმალო, ვიდრე მთვარე მოიკრებს ხორცს. შეისხამს მორიგ გაქრობას. მთაზე დავეშვით. დავუყვეთ ბილიკის კიდეს. ვერ ავუქცევდით გზას. აქცევას აზრი არ ქონდა. გზადაგზა ჯგუფი ტურისტების გვეხვდებოდა. მერე მოხუცმა წყვილმა ჩაგვიარა. გვანან ვალმოხდილს. ეს შენ კი არ თქვა. გაყოლილმა მათდამი მზერამ. თქვა, რომ ცხოვრებაც ლექსებივით აღარ გამოგდის. თქვა, რომ ლექსები ისეთია, როგორც ცხოვრება. და რომ ცხოვრება უძეტესად გაუბრალოვდა. მიუხედავად ეს დღე მანც გემსხსოვრება. არ ვიცი რატომ. იქნებ რაკი შაშვი გალობდა. რაკი ბულბული. ვერ ვარჩევდი. ფერდობს გახედე. ლრუბელი ნისლით გრძელდებოდა. ისევ. და შემდეგ მე გყარნახობდი დღიურიდან, ამონახევდა შუა ფურცელზე ჩაგნერა: ამ ზამთრის დღემდე...

- დღე შეუზამთრის. დღე რიგითი. გამოურჩევლად.
დღე გასაყვანი. როგორც ზამთრის ყველა დღე სოფლად
როგორც გატანა ერთმანეთით. ბუხრის პირს მყოფთა.
ერთი ბუხრის პირს. სითბოს. რომლის გამოც გირჩევდნენ
არ ჩაგიქრეს არასოდეს. ეს უფრო სურვილს.
უფრო დალოცვას წააგავდა. მაშინ უმრნემესს
როგორცა გმიძლვრავდნენ წინაპრები და საგზლად სულის
გატანდნენ სიტყვას. რჩენას. ლოცვას ხომ მითუმეტეს.
აი. ასეთი ზამთრებისთვის გასატან სითბოს,
რომ ამ ბუხარში არასოდეს მინავლდეს. რომ ეს
ცეცხლი სულივით სამუდამოდ ენთოს და იყოს.
მანამდე, ვიდრე ცივ ზამთრებში ჭირდება ვინმეს.
ასეთ გასაყვან. როგორც ზამთრის სოფლად ყველა დღეს.
ის იდგეს მასში. გამოუვალ და ცივ ადგილებს
ადნობდეს ყველა ყინულისგან. თბილად ელავდეს.
წამსვლელი წამსვე. ვინც დარჩება გაუადვილდეს
ყოფნა. რომ ასეთ ზამთრისა და გასაყვან დღეში
მხვდებოდე სითბო. წაკლად დროის.

ომიერლიკ თანცვევას
ხსოვნას ნაკვალევდაკარგულთა თოვლიან თქექშად.
ვინც ჩაეტყოფლა დავიწყების მინავლულ ნაცარს.

ბუხარს აფიცებდს. ხის წნევლები იწყიან. ფრთხილად ის ტოვებს ითახს და ბუხარი უფრო ღვივდება. სოფლის პატარა სასტუმროში პირველი დილა. პირველი ცვარი ბალახებზე ოქროს დილებად დნება. გულს უხსნის. ეს ითახი რაღაც ძველისძველ ამბავს წააგავს. დაგბინავდით გუშინ საღამოს.

კი. გაგვიმართლა. თორემ ისე მართლაც ძნელია უცხო კუთხეში დაგიღამდეს. ასე საამო ადგილს წაანუდე. არც ექბდე ისე. შემთხვევით. რაშიც უდაოდ ბედის ხელი კიდეც ერია.

გარდა სურვილის. როცა რწმენით სუფთას ეხები რაღაც ხატის მსგავსს. ცამდე გნამს. და არაფერია ამ რიტუალის ფორმალობას რას დაარქმევენ.

ასე შემთხვევით. ამ სასტუმროს წავანუდით მერე. მანამდე იყვნენ უმეტესი სხვა ქალაქები.


ზოგჯერ დაბებიც. დაბლობებიც. ნესტიან მწერებს ჩვენი ძვირფასი სისხლი ერგოთ. სულაც არ ვნანობ. თუ ერთ მშვენიერ ასეთ დილას ასეთი ცვარი გახსნიდა სარკმელს. გახსენებას. სულს დანამავდა. რომ არ ყოფილა ეს სიზმარი. რომ ასეც არი. ის ტოვებს ითახს. შემიძლია უსურვო დიდანს ამ თბილი ბუხრის ამ სიცოცხლეს სწამდეს ასევე. ვერაფერს ვიტყვი. ანდა მეტი რა უნდა მითხრას. როცა მას ცეცხლი. მე: სიტყვები. ცამდე გვავსეუნ.

- ეს სხვა დილაა. და მორიგი ხომ უნდა დადგეს.
ცეცხლს შეცვლის წყალი. უმეტესად დღე გაიზრდება.
რა სათქმელია. სულ ელოდი რაღაც სხვა ამ დღეს.
ვისი გონება ამ წესრიგის პირველმიზეზად
უნდა ექცია. ებმებოდნენ ჩუმი დღეები.
როცა ნათქვამი აზრს კარგავს და ყველა ხმა წყდება.
მერე შემთხვევით რაც თვალს ჭრიდა, თვალს არიდებდი.
ზურგით დგებოდი გასაქარწყლებლად.
რა შეცდომაა. როცა ბრწყინვას ძეირფას მინათა
თვალს აარიდებ. ფიქრს არიდებ. ტოვებ გონებით.
აქ უმეტესად იწყებოდნენ ის სეზონები.
ცა ქარიშხლიან მონმენდილზე როცა ინათა.
წასვლის. და ლმერთიც ეკრძალება იფიქროს. ბადეს
როგორ გაშლის და მიმოაფენს მადლი. არადა
რომ ამ ყველაფრის პირველმიზეზა წყალი ფარავდა
ეს უმეტესად უნდა იგრძნო. ნაკლებად: ჩანდეს.
როგორ დატოვებს გამჭვირვალე კრიალა ნაპირს.
დარჩება ფიქრი. ამოსავალ საწყისს მოძებნი.
წყლისა და მინის დაშორების პირველმიზეზად.
ახლო საგანთა უმოწყალო მიზეზად გაყრის.

- და საზარელი მარტოობაც შინაურდება. როგორც ეს თბილი. საყვარელი ფუნფულა კნუტი. არ გეტყვი ოღონდ ამდენ ცხოველს სახლში რა უნდა. ისედაც დღემდე ვინც გიცნობდა, სულ ყველას უკვირს შენი მორიგი ეს უნარი: აშინაურებ. ეხები ბერგის ფაფუკ ქობას. ბან. წმენდ. აპურებ. ვისთვისაც გახდი დასაყრდენი. დედა. სამშობლო. და უდაოა ღირსეული. დაიმსახურე ეს უეჭველი პატივგება. უყვარდე ვინმეს ასე უზადოდ. უანგაროდ. სხვა რა შეძელი უპოვარობის. უქონლობის. უსამშობლობის გარდა. ამ წარმტაც ქვეყანაში. ამ ძველისძველი ტრადიციული დალოცვებით. უხვი სიტყვებით. კეთილდღეობით. მოყვარეთა. კარგის მსურველთა. მარტოობასთან თავსაც ვეღარ გამოუტყდები. უხერხეულია. მარტოოდენ თვალში სულელთა. სამაგიეროდ: საზარელი საყვარლად ბრწყინვაგს. ყველა უთბილეს მარტოობას ხელით ეხები. ეს ზედმინევნით ჰუმანური შემთხვევებია. თითქოს სამყარომ აირეკლა ფერადი მინა.

- ცა ქარიშხლიან მოწმენდილზე ინათა მერე. ინათა ისე. ჩვენ გვინდოდა როგორც ენათა. რომ მოყოლოდი იყეანეს. უცხო სიმღერებს. უცხო ქარების ვერყყოფნათა. გადაფრენათა შენ. არ შემცდარხარ. პოეტები ხშირად ცრუობენ. თავს გაჩვენებენ. უდაოა კიდეც დაკარგეს ის. რის ძებნასაც ექნებოდა აზრი თუ იდეს-მე (ლეთაებრივი დილა მინდა. გამიღე კარი. და ქარი. უფრო ბობოქრობდა. ვიდრე ამბობდა. დამიბრუნები ჩემი სახლი, როგორც წაიღე) და დანარჩენი ყველაფერი. რასაც ხმა იღებს. საგნად იქცევა. სხეულდება. რომლის გამოც და რომლის მიერაც უკვე ითქვა. უკვე აცადდა. და ქარი ისე ბობოქრობდა. მჭიდროდ ჩავრაზეთ ყველა სარკმელი ხელახალი ავდრის ნახვამდე და მძიმე ფარდა დავაფინეთ ხისფერ რაფაზე და შემოგბრუნდით. წუხილების გამოგონება ან ვის ჭირდება. შეხედე და დაიმახსოვრე. რომ არ დამარცხ უთქმელობა. მით უფრო. რომ მე ვაზვიადებდი არარსებულს. გამო გონების. გამო უწყალო ფანტაზიის. გამო არავის. კიდეც ეჯეროთ. კი ოდესმე გამოგიტყდები: სიტყვები იყო ჩემი ნაკლი. რომლის დაფარვას მუდამ ვცდილობდი ხელახალი ნაკლით: სიტყვებით. და -გროვდებოდნენ მართლაც და მზეც ინვერებოდა. აჩენდა საგნებს. (კას მანდილად თავზე ებურა. ოკეანიდან გარიყული სადაცის ფერი ამ უცხო ნაპირს ნათელს ფენდა თავისებურად.





11.
ეს უნინდელზე ერთფეროვანს სულაც არ გავდა
შემთხვევითობით. როცა მასში უმეტესს ხედავ.
კი არ ცდილობდი. თავისთავად შეგეძლო, რადგან
კი არ შეგეძლო. ნიადაგმა გიქცია ბედად.
სისხლმა თუ სულმა. თუ ფესვებმა. ვერაფერს შეცვლი.
ამ არჩევანში რა ხელი გაქვს. უშენოდ შედგა.
ვიდრე ფიქრამდე იქნებოდი. ბუსარში ცეცხლი
დაგხვდა. თვალი რომ გაახილე. აკვანთან: დედა.
ეს არ ყოფილა არჩევანი. სხევებმა იზრუნეს
უფრო ზეცისკენ. რომ სწორედ აქ. არაშემთხვევით.
შეემო შენი ცა ფირუზზებს. ხელეთ: ზურმუხტებს.
დღე: სადაფებსა სისადავეს. ღამა: შენს თხემთან:
უკუნეთ გიშერს გაებზარა მთვარე სანიშნე
ქარვის სიტყბოებდალვენთილი მინით და ქარით.
არ მიფიქრია ამ ფურებმა რამე განიშნონ.
უბრალოდ იყვნენ. უნდა მეტქვა. და სულ ეს არის.
რაც იყო იქნებ შემთხვევით. ან იქნებ პირობა.
რაღაც გულისთქმის ასრულება. რაც ღმერთს ენება.
როცა ქარებმა შემოდგომის სანაპიროდან
ნიუარის სახლებს მიაშურეს მოსასვენებლად.

12.
აი. ის სახლი. სადაც იქნებ დასახლდე კიდეც.
თორებ მ ამდენი სიარულით რა დრო გასულა.
თუ ლამაზიც ხარ. გონიერიც. მით უფრო მკაცრად
განიხილავენ შენს ცხოვრებას. ენა ავსულთა
დაუკებლად ლაპარაკობს. განცალკევებით
თუ ხარ ჭკვიანიც. უკარებაც. მით უფრო: მარტო.
იქნებ ენიონ. მაიკლიონ. რასაც არკვევენ.
რასაც ვერ მინვდნენ. ვერ გაიგეს ვერასდროს. რატომ.
კითხვის აზრამდე ვერ ჩაწერდეა რაკი გონება
და ვერც ანალოგს მოუქების მიბაძების შედეგს.
განიხილავდნენ. სასურველო. გამოგონებას
წინ რაღაც უდგას. თუმცა ის. რაც მოყვება შემდეგ,
ცოტა დამლელიც იქნებ კია. თუკი მზის მეტი
არც არაფერი გიძებნია. და მაინც ღირდა,
რომ ეს ცხოვრებაც ყოფილიყო ზუსტად ისეთი.
როგორიც მხოლოდ შენ შეგეძლო. გამოგივიდა.
თუმცა პრაგმატიზმს პოეზიად როგორ აქცევდა.
თუ იკეანის მომკაობის (სხვები მას ერთვის)
არ იქნებოდა ვინძეს მსგავსი (მით უფრო ცამდე).
არამედ ზუსტად. აი. ასეთი.
მსგავსი ამ დროის. მიმოქცევამ რაც გამორიყა.
რაღაც კავშირად ძეგლის სერვისის
აი. ეს სახლი. უდაბა. ის უნდა იყოს.
რასაც ეძებდი. ზუსტად ის სახლი.

მანანა ჩიტიშვილი

ზოგარ

ერთ მდინარეში
ვინ შევა ორჯერ,
მთვარე ჭადრებთან
ჩუქად ბასობს,
რა უაზროა
სიტყვები ზოგჯერ,
რარიგ ფუჭი და
უშინაარსო.

და თუ ქარებმა
გნენეს და გჯორჯეს,
ვეღარ ენდობი
ზღაპრა-არაკებს...
რა მეტყველია
დუმილი ზოგჯერ,
რარიგ ხატოვნად
მოლაპარაკე.

ჩრდილის ყვავილი

მე ვგავარ ჩრდილში ამოზრდილ ყვავილს,
არ ველტვი ხმაურს, ტაშა და ზეობას,
თაგბრუდავევა საუკარ თავით
არც არასოდეს არა მჩვეოდა.

მინდობილი ვარ ჩემს გულს და გუმანს,
არ მივაქროლებ მერანს სადავით,
მე ვდგავარ ჩრდილში და ვტკბები ჩუმად
ამ სიმყუდროვით და სისადავით.

ნუ დამიძრახავთ ლექსად გამხელილს,
დროს თავი არც როს არ მოვუხარე,
ვერ ვეგუები, როცა სახელი
ნალვაზზე ათჯერ მეტად მქუხარებს.

ვდგავარ და ვუჭვრეტ ქართვლის ბედს ოჩანს,
თვალმოუსუჭავ, უძინარ მზერით,
ყველაზე ცხადად აქედან მიჩანს
მიყვასიცა და მამულის მტკრიც.

* * *
რა შორს არის ახლა
ჩემი ყრმობის სახლი,
ჩემი და ჩემი და-ქმის
ბავშვური ნატერთალებით
და ჩემი მშობლების
ხმებით მოპირთავებული,
შიგ რომ ჩვენს ნაცვლად
ახლა მხოლოდ ქარი მიმოდის
და ბერე დარაბებს
ცრემლებივით ჩამოსდის წვიმა.

ორი

ამ გრძნობას თავად უფალი ლოცავს,
სიყვარულია არსთა გამგე და
განა რა იყო ის ერთი კოცნა,
ვერც შენ გაბედე,
ვერც მან გაბედა.

იმ სიგიუმაჟის ქარები ჩადგა,
ჩაქრა ის ცეცხლი და გულის ფეთქვა,
სიტყვა, რომელიც ენაზე გადგათ,
ვერც შენა თქვი და
ვერც იმან ვერ თქვა.

306 ნახა

ამ უხდინარ საწუთროში
დაგალ, როგორც მნირი გლახა,
ხან თუ მზის შუქს ვეფერები,
ხანაც კუპრის ტბასა ვლახავ.
ცრუ მგონია ეს სოფელი,
ერთხელ მიღალატა რახან,
სხვათ აჭმია დოლის ჰური,
არც ხმიადი შემინახა.
ჩითის პერანგს მანატრულა
ზოგს არგუნა დიბა, ქამზა,
ბედს გადა და ვერ ვერიე,
ცხრა მთა, (ცხრა ზლვა გადალახა,
ნეტა, ჩემმა დამკარგავმა
უშკობესი ვინა ნახა.

306 იმაირად ლამაზი იყავ

მე მუდამ შენი შუქი მემაროდა
და შორი ელვა ალისფერ ფარჩის,
არ მისვამს წყალი ნატერის წყაროდან
და მაინც შენი ერთგული დაგრჩი.

და ახლა, დრო რომ ნელ-ნელა მრიყავს,
არ გეცრუები ლექსის პნეარედით,
შენ იმნაირად ლამაზი იყავ,
მე რანაირად შემიყვარებდი.

* * *

სიყვარულიც
პატარა სიკვდილია,
ოლონდ ისეთი,
როცა ერთი გარდაიცვლები,
აღდგომით კი
ორი აღსდგები.

დიდგორთან

გიორგი ფარეშიშვილს

მზე ცის ტატნობზე ისევ მიგორავს,
მინა ჩვეული ეშხით მაისობს,
ყოველ წელს უნდა ნახო დიდგორი,
რომ გამარჯვების რწმენით აიგსო.

გახედო სივრცეს იმერ-ამიერ,
თვალი სიამის ცრემლმა დანამოს,
დამარცხებულმა სულმა წმიერ
რომ გაილალოს და ითამამოს.

უნდა ელოდო აქ დილა-სისხამს,
შეიგრძნო ზეცად შაშეს და კვირიონს,
რომ გაიხსნოს გულმაც და სისხლმაც,
ვინ ვიყავით და რანი ვიყავით.

ნახე, აზომე ნარსული მისხლით,
აჟყევი ზეცად შაშეს და კვირიონს,
დამდორებული ძარღვებში სისხლი
რომ აყვირდეს და რომ გადირიოს.

მზე ცის ტატნობზე ისევ მიგორავს,
მინა ჩვეული ეშხით მაისობს,
ყოველ წელს უნდა ნახო დიდგორი,
რომ გამარჯვების რწმენით აიგსო.

* * *

გავიორგულდა რამდენჯერ ბედი,
შორს გადაფრინდა ყრმობის ციცარი,
ჩვენ წლების მერე შემთხვევით შევხვდით
და ერთმანეთი ვეღარ ვიცანით.

შენც ჩემებრს დარდის ულელს შეები,
დროს გაპყვა სიყრმე და სიანკარე,
სხვამ მიბიძებრა ის ბაგეები,
მე რომ ოცნებაც ვერ მივაკარე.

ავლიდეათ ცაში

ნურაფერს იტყვი,
თუ გვითხავენ ჩემზე — „ვინ იყო?“
ნუ შეელის თოვდა,
ამ დილით კი ქარი ავშავობს,
რაცა ვარ, ეს ვარ,
ან ასეთი უნდა მიმილო,
ანდა ხსოვნაში
ჩემი ყველა კვალი ნაშალო.

ცრემლები დამდის,
თუ დამდნარი თოვლის წვეთები
ბრნყინავენ ლანვზე,
გული ჩემი ისევ ზეარაკობს...
ნუ შემომხედავ,
თუ უეცრად შეგეფეთები,
ჩვენს სიყვარულზეც
სხვას არავის ელაპარაკო.

არც ყალბად ვმორცხობ,
არც ზედმეტად რაიმეს ვჩემობ,
თაფლის ერთ წვეთთან
შხამის ათი ათასი დავცალე,
ვინ შეგიფასებს
იმ ნარსულს შნოსა და გემოს,
მხოლოდ ქილიეთ გაგეირდავენ,
შენ გენაცვალე.

მალე ამ ატმებს
გაზაფხული ვარდისფრად გაშლის,
ჩაიგლის ზამთრის სიცივე და
დაეგოდარაბა,
ჩამკიდე ხელი,
ერთხელ მაინც ავფრინდეთ ცაში,
ავფრინდეთ ცაში,
მერე რა, რომ ფრთები არა ვერაქვა.


፩፻፲፭

გიორგი ლობჟანიძე

ძალიან კარგად მახსოვეს, როგორ ვაცილებდით გიორგი ლობუანიძეს „კავკასიი ური სახლიდან“ ირანში, სადაც მას თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტი თეოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტურაში უნდა გაეგრძელებინა სწავლა. მანამდე იყო ხაშურის პირველი საშუალო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. ერთი შეხედვით მშრალ ბიოგრაფიულ ცნობები კარგად ჩანს ხოლმე მთავარი ადამიანის ცხოვრებაში — რამდენად უბრუნებს სამყაროს იმ ერთ, ორ თუ ხუთ „ტალანტს“, რაც მისთვის იყო განვითილი როგორ მარხავს ან ამრავლებს თავის ნიჭს. გიორგი ლობუანიძეს მიერ გადმო ქართულებულ არაბულ-სპარსული კულტურის უმნიშვნელოვანებს ძეგლებს რომ ვეცნობი, მის ორიგინალურ ლექსს რომ ვკითხულობ, ლიტერატურულ-სამეცნიერო შემოქმედებით და პედაგოგიურ საქმიანობას რომ მივადევნებ თვალს, ვფიქროს ხოლმე, რომ მისი ცხოვრება სახარებისეული „მუშაკობის“ თანამედროვე მაგალითია.

— ახლახან დაგაჯილდოვეს პრემი-
ოთ „საგურამო“, მინდა მოგილოცო და
თქვენი სიხარული გავიზიარო.

— „ილიას პრემიამ“, როგორც ბევრი ეძახის, მართლაც ძალიან გამახარა. მოგეხსენებათ, რამდენიმე წლის წინათ საგურამოში, ილიას სახლ-მუზეუმში არაჩვეულებრივ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი — დაწესდა ლიტერატურული პრემია „საგურამო“, რომელიც ყოველწლიურად გაიცემა სხვადასხვა ნომინაციაში თავსაცავი ილიას მიოთალი ქართველი კონ-




ნებას ილიას პრემიის მიღება კიდევ იმ-
იტომ იყო მნიშვნელოვანი, რომ მოგეხ-
სენებათ, ლიტერატურულ კონკურსზე
„საბა-2014“ ჩემი ორი წიგნი ნარაღინებს,
თუმცა პრემია ვერ მივიღე. მართალი
გითხრათ, ეს ფაქტი ნაკლებად მტკიცნეუ-
ლად აღვიძგა, რადგან ვიკი, კონკურსის

შედეგებს, ხშირად, ყოფილის გემოვნება და
პირადი ურთიერთობები განაპირობებს,
უძრალოდ, ცოტა გამიჭირდა პოეზიის
ნომინაციის შედეგებთან შეგუება. ამ
ფონზე ილიას პრემია, რაღაცნაირად,
მორალური კომპენსაცია იყო ჩემთვის.

ନାମକୁର୍ବେଳେ ଲିପି ଦା ଶୁଣୁଥିଲା ଏହା କିମ୍ବା କିମ୍ବା

— დიან, ასეუ და, რესაბირთსაც, პოლ-
ცესებს შეიგინდან ვიცნდობ. არ მინდა, იფ-
იქროთ, რომ „საბას“ მნიშვნელობის დარ-
ცირება მსურს. ეს ერთადეტრო ლიტერ-
ატურული კონკურსია, რომელიც წლის
ილიტერატურულ მონაგარს აფასებს და,
პირობითად ვიტყვი, ერთმანეთისგან გა-
მოარჩევს კარგსა და ცუდს, რაც ძალიან
დიდი საქმეა იმ ქვეყნაში, სადაც ამ მიზა-
რთულებით თითქმის არაფერი კეთდება.
სამწუხარო ის არის, რომ არ არსებობს შე-
ფასების მცარი კრიტერიუმები, შესაბამის-
ად, ნანარმოებების შეფასება იქნება, ნომ-
ინანტებთან დამოკიდებულება თუ
საინაზია წარმოთქმილი სიტყვაბი

ବ୍ୟାପକ ଉପରେ ବ୍ୟାପକ ଉପରେ ବ୍ୟାପକ ଉପରେ
ଦେଖିଲୁ ଯାଏନ୍ତି କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା



გიორგი ლობჟანიძე

მადგენლები. ისლამოლოგიაში ნომინანტებს შორის იმდენად დიდი და ცნობილი სახელები იყო, რომ ვფიქრობდი, ოცეულში მოხვედრის შანსიც არ მაქვს, თუმცა მხოლოდ მონაწილეობაც ხომ მნიშვნელოვანი არის—მეტქი. როცა ჩემმა მეგობარმა და თეირანში საქართველოს საელჩის ნარმომადგენელმა, ნიკო ნახუცრიშვილმა დამირეკა, ლაურეატი გახდი და უნდა ჩამოხვიდეო, ვერ ვიჯერებდი. ჩემი გამარჯვება იღბლიანი გამოდგა, რადგან მომდევნო წლებში კიდევ რამდენიმე ქართველმა მიიღო ის პრემია.

ვინაიდან „წლის წიგნი“ სახელმწიფო ჯილდოა და არა რომელიმე კერძო კომპანიის ინიციატივა, მას ცირადად გადასცემს ქვეყნის პრეზიდენტი. მე მაჰმუდ აჰმადი ნეჯადმა დამაჯილდოვა. გრანატი ული ცერემონია გამართეს. დაჯილდოვებას ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან მეცნიერები, მთარგმნელები — აღმოსავლეთ-მცოდნეობის კლასიკოსები. ბევრ მათგანს პირველად შევხვდი, ადრე ამაზე მხოლოდ ოცნება შემეძლო.

— ძნელი წარმოსადგენია, ასეთი მას-შტაბის კონკურსზე, რა რაოდენობის

მასალის გაცნობა-შეფასება უწევს უი-ურის.

— იმ ნელს, როცა პრემია გადმომეცა, გამოგვარჩიეს ათი ლაურეატი ორასამდე ქვეყნიდან. უკურის მუშაობა აბსოლუტურ-ად გასაიდუმლოვანია. რამდენადაც ვიცი, ყურანის თარგმანის განხილვისას მათ ჩართეს ქართულის მცოდნები, დაწვრილებით გაეცხნენ ნამუშევარს და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს კომენტარებს. შემდეგ დაწერა თხუთმეტ-გვერდიანი, ძალზე კომპეტენტური დასკვ-ნა. დასკვნასთან ერთად გადმომეცა ტრადიციულ სტილში მოოქროვილი სიგე-ლი, სადაც ნათქვამია, რომ გიორგი ლობ-ჟანიეს პრემია გადაეცა ყურანის თარგ-მანისა და, განსაკუთრებით, კომენტარებ-ში გამოთქმული არაერთი მოსაზრები-სთვის, რომელიც უაღრესად ფასეულია თანამედროვე ისლამცოდნებისათვის — თავს არ ვიქებ, მაგრამ ისლამურ სახელმ-ნიფვოში, ყურანის შესწავლისა და თარგმ-ნის ტრადიციების ქვეყანაში რომ ასე შეგ-აფასებუნ, ვფიქრობ, არ უნდა იყოს უმნიშ-ვნელონ ამბავი.

— ძალიან მაინტერესებს თქვენი
პირველი შეყვრა ისლამურ კულტურასთ-
ან.

— ბანალურად რომ ვთქვა, ეს მოხდა
მე-6 კლასში. წავიკითხე ვახუშტი კოტეტიშ-
ვილის მიერ შედგენილი ირანული პოეზი-

საადი შირაზელი

卷之三

1 5

გოლესთანი

A small, octagonal decorative object, possibly a tray or a lid, featuring a floral pattern in the center surrounded by a decorative border.

— როგორც ყურაბის ძთარგძხელს, კომენტარების ავტორს, შესაბამისად, მის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნელს გეკითხებით — რა სამყაროა ეს?

— ყურანი არის საოცარი წიგნი. ჯერ
ვილაპარაკებ მასზე, როგორც ლიტერ-
ატურულ ნანარმობზე, რადგან ჩემი
თავდაპირველი ინტერესი მის მიმართ
სწორედ აქვედან გამომდინარე გაჩნდა.
უნივერსიტეტის მესამე კურსზე, თინა მარ-
გველაშვილი, არაბული ენის არაჩვეუ-
ლებრივი სპეციალისტი გვიკითხავდა
სპეცკურსს, რომელსაც ასე ერქვა —
ყურანის არაბული. მართალი გითხრათ,
თავიდანვე გამაოგნა ტექსტის სიღრმეებ-
მა, მისმა არაჩვეულებრივმა სილამაზემდა
გადავწყვიტე, მეთარგმნა. ხოლო ყურანის,
როგორც რწმენის წიგნის მნიშვნელობა
მსოფლიოს მუსლიმური ნანილისოთვის და
ყოველივე ამის მიმართება საქართვე-
ლოსთან, ქრისტიანული და მუსლიმური
სამყაროების გზაგასაყარზე მდგარ ქვეყ-
ანასთან, მოგვიანებით გავიაზრე.

ყურანით აღტაცების გრძნობა დღემ
დე არ გამნელებია და ეჭვი არ მეპარება,
რომ რწმენის წიგნი შემოზევევით არ ჰქვია,
ამაში უზენაესი ძალაა ჩარეული. აბსოლუ-
ტურად სხვა თემაა, ვინ რომელ
თეოლოგიურ საფუძველზე დგას და ვის
რისი სწამე — ყურანის ამგვარი მიღეო-
მით შეფასება, ჩემი მხრიდან, სხვა რე-
ლიგიის აღმსარებელი ადამიანისგან,
უაზრობა მგონია. ეს არის წიგნი, რომელ-
მაც ვეებერთელა კულტურა შექმნა,
რომელსაც ეფუძნება მთელი აღმოსავ-
ლური ლიტერატურა, ხელოვნება. ყვე-
ლაფერი, რაც კი შექმნილა აღმოსავლეთ-
ში, ამ წიგნის ნაყოფა. ახლა წარმოიდგი-
ნიოთ. რა ზეძასთან ევაძეს საჭმა.

— აქედან გამომდინარე, ტექსტის
გასაგებად ძალიან მნიშვნელოვანია
სწორებ კომუნიზარები.

— ამომმურავად ყურანის ახსნა თუ განმარტება შეუძლებელია. კომენტარებზე მუშაობისას, ძირითადად, ვეყრდნობოდი ჩემეულ ხედვას. ბოლოს და ბოლოს, თარგმანი რა არის. ინტეპრეტაცია, ხომ? თარგმნი ისე, როგორც ხედავ ამ ყველაფერს. ამიტომაც ყურანის გადმოქართულება ურთულესი იყო და 12 წელი გაგრძელდა. ვამუშავებდი თითოეულ დეტალს, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი, რამდენადაც შემეძლო, სრულად შემესწავლა ტექსტი და გამომეძიებინა თითოეული პასაჟი. მხოლოდ ფილოლოგურ მხარეს



11:00 და
19:00 გვე



თბილისის წიგნის დღეები — ასე ჰქვია მასშტაბურ ღონისძიებას, რომელიც 27-30 ნოემბერს საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ გაიმართა. საქართველოს გორეთს ინსტიტუტის, ოთარ ყარალაშვილის მიერ დაარსებული „წიგნის ხელოვნების ცენტრისა“ და „ექსპო ჯორჯიას“ ამ ერთობლივი პროექტის მხარდამჭერები იყვნენ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ერთოული წიგნის ეროვნული ცენტრი, ირანის საელჩო საქართველოში, წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია და გაეროს მოსახლეობის განვითარების პროგრამა.

პროექტი განხორციელდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გრანტით. საქართველოს გორეთს ინსტიტუტის მიერ კონკურსზე წარდგნილი ხუთი პროექტიდან სამინისტრომ 100 000 ევროთი სროებში „თბილისის წიგნის დღეები“ დააფინანსა.

2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობამდე, რომელზეც საქართველო საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით უნდა წარდგეს, სულ უფრო ცოტა დრო რჩება და, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართველი გამომცემების, ავტორების, მთარგმნელების, ილუსტრატორების მზანმიმართულ, კონფინირებულ საქმიანობას, ერთანი სტრატეგიის შექმნას, ყველა იმ სექტორის გაერთიანებას, რომელიც ქართული წიგნისა და ლიტერატურის განვითარებაზე მუშაობს. აუცილებელია, ასევე, თანამდროვე საერთაშორისო საგამომცემლო გამოცდილების გაზიარებაც. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა თბილისის წიგნის დღეები, რომელშიც არა მხოლოდ ქართულმა, არამედ ყველაზე წარმატებულმა უცხოურმა საგამომცემლო სექტორმაც მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებას ეწვიონ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის, ფინეთის (წლევანდელი საპატიო სტუმარი ქვეყნა ფრანკფურტში) წიგნის ბაზრობისა და შევიცარის (წლევანდელი საპატიო სტუმარი ქვეყნა ლაიფციგში) გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ხელმძღვანელები, ასევე სხვა მაღალი რანგის სტუმრები.

თბილისის წიგნის დღეები გაცილებით ფართო და განსხვავებული ფორმატის ღონისძიება გახსნავთ, ვიდრე თბილისის წიგნის ფესტივალია, რომელიც თავისთავად უმნიშვნელოვანესი კულტურული აქცია, გრანდიოზული გამოფენა-გაყიდვის სახე აქვს და მკითხველს გამომცემლებთან, ავტორებთან, მთარგმნელებთან შეხვედრას სთავაზობს. წიგნის დღეების ორგანიზატორების მიზანი იყო, წარმოედგინათ წიგნი, როგორც ხელოვნების ნიმუში, როგორც ტექსტისა და ილუსტრაციის სინთეზი და გაეცნოთ საზოგადოებისთვის ის ადამიანებმ, რომლებიც სიტყვისა და გამოსახულების იდეალურ შერწყმიზე მუშაობენ. შესაბამისად, მათ მიერ მომზადებული პროგრამა მრავალფეროვანი იყო.

თბილისის წიგნის დღეები შინაარსობრივად ძალზე გამდიდრა დისკუსიებია ბევრი და წარმატებული სალიტერატურო

ისევ ნიგნება და ვრანკვრული

და სეინარებმა, წიგნისა და საგამომცემლო სფეროს სხვადასხვა მიმართულებას რომ მიეძღვნა. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გახლდათ პანელ-დისკუსია, რომელიც ფრანკფურტისა და უცხოეთის სხვა საერთაშორისო წიგნის ბაზრობების მესვეურებმა გამართეს, რათა საკუთარი გამოცდილება გაეზიარებინათ ქართველი გამომცემლებისა და, ზოგადად, ქართულ წიგნის სექტორში მომუშავე სპეციალისტებისთვის. მათ ისაუბრეს იმაზეც, თუ რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ქართულ მხარეს საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსი და, შესაბამისად, რამდენად მნიშვნელოვნია გამომცემელთა ხელშეწყობა. თბილისის წიგნის დღეებისა და თბილისის წიგნის ფესტივალის ევროპული სტანდარტით ჩატარება და რაც შეიძლება ბევრი და წარმატებული სალიტერატურო

საგამომცემლო პროექტის განხორციელება.

თახი დღის განმავლობაში „ექსპო ჯორჯიას“ თითქმის ყველა პატიონი წიგნის ეთმობლივ, გაიმართა ვორქშოპები საგამომცემლო ხელოვნებაში, ჩინურ კალიგრაფიაში, წიგნის მხატვრობაში, საგანმანათლებლო და გასართობი აქტივობები მოზარდებისთვის, ლექციები მსოფლიოში ცნობილი წიგნის ფესტივალების შესახებ.

სივრცის უდიდესი ნაწილი მოიცვა ექსპოზიციება, ალტერნატიულმა გამომცემლობამ NICE და „ფოტონიგნმა“ უკრაინული საგამომცემლო სექტორი მრავალმხრივ ნარმალდგინეს, გამართეს, ასევე, ილუსტრაციების გამოფენა. დამთვალიერებულმა ირანული ილუსტრატორების ნამუშევრებიც შეაფას, ინტერესი დიდი იყო „ექსპრიმენტული წიგნისა“ და „წიგნის ლაბორატორიის“ ექსპოზიციების მიმართ, სტუმარი არ აკლდა ქართული საბავშვო წიგნის ილუსტრაციის გამოფენას, ასევე — ქართული არტ წიგნისა და XX საუკუნის 10-20-იანი წლების თბილისური ავანგარდული წიგნის გამოფენებს, უყრადღების ცენტრში მოექცა „საერთაშორისო სურათებიანი წიგნიც“.

თბილისის წიგნის დღეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ქართული გამომცემლობების მიერ ორგანიზებული წიგნების გამოფენა-გაყიდვა, რომელიც, ტრადიციულად, მე-11 პავილიონში გამართა. იყო შეცვერები გამომცემლებთან, ავტორებთან, მთარგმნელებთან შეხვედრას სთავაზობს. წიგნის დღეების ორგანიზატორების მიზანი იყო, წარმოედგინათ წიგნი, როგორც ხელოვნების ნიმუში, როგორც ტექსტისა და ილუსტრაციის სინთეზი და გაეცნოთ საზოგადოებისთვის ის ადამიანებმ, რომლებიც სიტყვისა და გამოსახულების იდეალურ შერწყმიზე მუშაობენ. შესაბამისად, მათ მიერ მომზადებული პროგრამა მრავალფეროვანი იყო.

თბილისის წიგნის დღეები დასრულდა, თუმცა ღონისძიების მესვეურნი გვეპირდებიან, რომ ღონისძიების მიერ მოველნიურად მოენიჭება. მე-11 პავილიონში გამართა. იყო შეცვერები გამომცემლებთან, ავტორებთან, მთარგმნელებთან და, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დიდი ფასდაკლება შესთავაზეს ამჯერადაც ორგანიზატორებმა მკითხველს.

თბილისის წიგნის დღეები დასრულდა, თუმცა ღონისძიების მესვეურნი გვეპირდებიან, რომ ღონისძიების მიერ მოველნიურად მოენიჭება. მე-11 პავილიონში გამართა. იყო შეცვერები გამომცემლებთან, ავტორებთან, მთარგმნელებთან და, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დიდი ფასდაკლება შესთავაზეს ამჯერადაც ორგანიზატორებმა მკითხველს.

თამარ შურული



იანვრიდან შესაძლებელია „ლიტერატურული გაზეთის“ გამოწერა. მსურველები დაუკავშირდით სს „მაცნე“-ს: 214 74 22; 214 39 06

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და კაგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მთავრობა სახელმწიფო უნივერსიტეტი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
უურნალისტი თამარ უურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com